სალომე იასაღაშვილი

PR (პიარი) და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის მედიის სკოლა

SMK გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ლიეტვუა

როდესაც Erasmus+ პროგრამაში მონაწილეობის მიღებას ვფიქრობდი, ვერ წარმომედგინა, რომ ეს გამოცდილება ახალ ქვეყანაში მხოლოდ სწავლასა და მოგზაურობას კი არ ნიშნავდა, არამედ საკუთარი თავის უკეთ გაცნობასა და სამყაროსთვის სხვა თვალით შეხედვას. მე დაახლოებით 6 თვე გავატარე ლიეტუვაში, კონკრეტულად კი მის დედქალაქ ვილნიუსში. ადაპტაცია არ გამიჭირდა, მარტო ცხოვრებასაც მალე მივეჩვიე და იქაურ აკადემიურ კულტურასაც. თუმცა, ერთადერთი დიდი გამოწვევა, ლიეტუვის ცივი კლიმატი იყო. -25 გრადუსში მომიწია პირველ ლექციაზე წასვლა, მაგრამ უცხო ქვეყანაში სწავლის და გამოცდილების მიღების სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ ცივ კლიმატს არ შევუშინებივარ.

SMK-ის უნივერსიტეტს რაც შეეხება, ძალიან თბილი და მეგობრული გარემო დამხვდა. უნივერსიტეტში თანამედროვე სწავლის მეთოდებს იყენებენ. სასწავლო პროცესში, ან თუნდაც ლექციის მიმდინარეობისას დავალებები პრაქტიკაზე იყო დაფუძნებული, რაც სწავლის პროცესს უფრო სახალისოს, ინტერაქციულს და საინტერესოს ხდიდა. რაიმე შეკითხვა თუ მქონდა, უნივერსიტეტის ლექტორები და იქ მომუშავე პირები, ნებისმიერ საკითხში მეხმარებოდნენ, არ ჰქონდა მნიშვნელობა ეს სასწავლო პროცესს ეხებოდა, თუ ვილნიუსში ყოველდღიურ ცხოვრებას.

რაც შეეხება ზოგადად ვილნიუსში გატარებულ დროს და იქ გაცნობილ მეგობრებს, ლიეტუველი ხალხი ოდნავ ცივი ჩანს, თუმცა როგორც კი დიალოგს წამოიწყებთ ეს წარმოდგენა მათზე შეგეცვლებათ. ერთ-ერთი სასიხარულო ფაქტი ის იყო, რომ ადგილობრივებს ძალიან უყვართ საქართველო, ქართველი ხალხი და ქართული სამზარეულო. ასევე, შევიძინე მეგობრები სხვადასხვა ქვეყნებიდან. მათთან ერთად მოვინახულე უამრავი ქვეყანა და დავაგროვე ისეთი მოგონებები, რომლებიც ცხოვრების ბოლომდე გამყვება.

ბოლოს კი, ყველას გირჩევთ, თუ ერთხელ მაინც გიფიქრიათ Erasmus-ის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობაზე, არ შეგეშინდეთ და გადადგით ეს ნაბიჯი, რადგან ამ ერთი გადაწყვეტილებით შეიძენთ ძალიან დიდ გამოცდილებას და რაც მთვარია, დაუვიწყარ მოგონებებს.